

# ლილევა სახელოსნო

ერთიანი  
გეოგრაფიული

პროლეტარიატის ყველა ძველი, ზეარტის

# ლილევა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ასოცირებული ფიზკულტურისა და სპორტის  
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ლელო** Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров  
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 23 (1193) კვირა, 23 თებერვალი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 80 კაპ.

## არმიელ სპორტსმენთა შეჯიბრება

5 დღის განმავლობაში ლენინ-გრადის ახლო კავკასიონში მიმდინარეობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ზაფხულის სპორტული სპარტაკიადი. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა საახილამურო რბენა 50 კილომეტრზე, რომლის სტარტზე გამოვიდა 1.300 სპორტსმენი. ცუდი ამინდის მიუხედავად მოახილამურებმა მაღალი ტემპი განავითარეს, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ახალგაზრდობამ.

ტრამპლინიდან ხტომას დიდძალი მსურველი დაესწრო, რადგან ამ სპორტის ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მხტომელები — სარ კავშირის ჩემპიონი რ. ბიკოვი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ორტიკიძე კონინი, სპორტის ოსტატები შამოგო, მოჟინი და წაქაძე. ორი სერიის გაშვებულ მსურველს მეტი როლი არ ჰქონდა რ. ბიკოვის, რომელსაც მიენიჭა ჩემპიონის სახელი. გუნდური პირველი ადგილი და გარდაამავალი ჯილდო მოიპოვეს ურალია სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა.

## სახელოვანი იუბილე

40 წლისა ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი, ამ დღის შესანიშნავ თარიღს დღეს საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ მთელი ჩვენი ქვეყანა, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მშრომლები. 4 ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავისი არსებობის პირველსავე წლებში წინ აღუდგნენ მრავალრიცხოვანი მტრების ბოროტ ზრახვას — წაერთმიათ ჩვენი ხალხისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, აღდგინათ კაპიტალისტური მონობა. ამ გმირობის, თავდადების, სამშობლოსადმი ურყევი ერთგულების მაგალითები გვიჩვენებს საბჭოთა შეიარაღებული ძალებმა, რომლებიც შედგარ ბრძოლას აწარმოებდნენ 14 იმპერიალისტური სახელმწიფოსა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ. ჩვენი კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთელი მშრომელი ხალხის მხარდაჭერით, გამირმა საბჭოთა არმიამ სასტიკად გაანადგურა ძლიერი მტერი და სახელმწიფო დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

ხელმწიფო მტრების შემოსევისაგან და აი, დადგა ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების სიმტკიცის გამოცდის დროც. ფაშისტური გერმანიის კბილებამდე შეიარაღებული ურდოები შემოიჭრნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. პირველ ხანებში ჩვენი შეიარაღებული ძალები იძულებული იყვნენ უკან დაეხიოთ. ამით ისინი ქანცადნენ მტრის ძალებს, აყენებდნენ მათ დიდ ზარალს, ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის. ომების ისტორიაში ჯერ არსებულმა ბრძოლებმა მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკთან და ბოლოს მტრის ბუნაგში — ბერლინში საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც აღზარდა და გამოაწრთო დიდი კომუნისტურმა პარტიამ — უძლეველია.

ომის შემდეგ წლებში საბჭოთა სამშობლომ მოიწმინდა დიდი ბრძოლები მიყენებული ჭრილობები, დააღწა მშვიდობიანი შრომის გზას. იგი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მთელს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სახელმწიფოთა შორის ურთაერთგაგებობას და თანამშრომლობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის. საბჭოთა მთავრობამ ამის გამო შეიტანა მთელი რიგი წინადადებები შეიარაღებული ძალების შემაღლებისათვის შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ და მნიშვნელოვანი ნაწილით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, მაგრამ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის ამ სამშვიდობო პოლიტიკას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის ოქტომბრის პლენუმს, რომელმაც განიხილა საქათხი საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, რამაც როგორც მშრომელთა, ისე ჩვენი მეომრების დიდი მხარდაჭერა და მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ მუშები, კომლექტურები, ინტელიგენცია უფრო დაუახლოვდა



ჩვენს სახელოვან მებრძოლებს, გააბა მათთან მჭიდრო, მეგობრული კავშირი. ეს შესამჩნევია ჩვენს დედაქალაქშიც. ახალგაზრდები ხშირად უწყობენ შეხვედრებს საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს, ამართებს საღამო-კონცერტებს და სხვა საინტერესო ღონისძიებებს მათს საპატივცემულოდ.  
გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!  
საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს — დიდება!

### კ. ზოკრიკია — 3. ბოკისეანოს მეჯი

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სპორტსმენთა კლუბში მსოფლიო პირველობის მატჩ-რევეანის გვერდით მიმდინარეობს მატჩი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის საერთაშორისო ოსტატების კ. ზოკრიკიასა და ვ. ბორისენკოს შორის.  
II პარტიაში ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ მოიპოვა უპირატესობა და ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

### ფინეთში, მსოფლიო პირველობაზე

მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად ლენინგრადიდან ფინეთს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი. ამ საინტერესო შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ სახელსაძიკვენი ვ. კუზინი, კ. წაქაძე, რ. ბიკოვი, პ. კოლინი, ა. შელიუზინი, ნ. გუსაკოვი, ლ. კოზირევა, რ. ეროშინა, მ. მასლენიკოვა, ე. მეკვილო და სხვ.

### მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

19 თებერვალს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სპორტსმენთა კლუბში მოეწყო ე. ბიკოვა-ო. რუბცოვას მატჩ-რევეანის VII პარტიის დამთავრება.

გადაღებულ პოზიციაში თუმცა რთული მდგომარეობა იყო, მაგრამ ზედმეტი პაიკის გამო ე. ბიკოვა მოგების შანსებს ინარჩუნებდა თამაშის განახლებისას მან ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და 70-ე სეკუნდზე გაიმარჯვებდა მიადლია.

20 თებერვალს შედგა VIII პარტია, რომელშიც თეორიებით თამაშობდა ო. რუბცოვა. პარტია დაიბული ბრძოლით აღინიშნა და გადაიდა დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.  
მეორე დღეს მოხდა ამ პარტიის დამთავრება. ბიკოვამ შეძლო ბრძოლის გართულება. მსოფლიო ჩემპიონი ვერ გაერკვა მწვავე სიტუაციაში და არასწორად თამაშა. ამით დაუყოვნებლივ აიარგებლა ბიკოვამ, მოიპოვა უპირატესობა და მისი რეაქციით 71-ე სეკუნდზე გაიმარჯვა.  
ამრიგად, ე. ბიკოვამ VIII პარტიის მოგებით გააყაიმა ანგარიში, რომელიც გახდა 4:4.

### მეგობრობის ისჯავება

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი მეგობრობის ეტაფეტა უნგრეთის სახალხო არმიის მეომრებმა. მათ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის საზღვარზე ჩოპში საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს, მუშებს, მოსწავლეებს სახეიმი ვითარებაში გადასცეს ესტაფეტა და მრავალი რიცხოვანი საჩუქრები.



სურათზე: სახენიკო არტილერია საველე მეცადინეობის დროს.



# გუშაგები მშვიდობის და მშობელ მიწის

იფანტება დილის ნისლი,  
— ღამის ფიქრი,  
თეთრი ნისლი,  
ზურმუხტ ველზე მობინადრე,  
მზე ისვენებს  
ტანახოვან მთების იქით  
და ბანაკი  
ფეხზე დგება მზეზე ადრე.  
აქ ზღვა არის  
ზვიადი და ზეციფერი:  
ატლანტიკის  
ატლანტიკულ ზვირთა ზვინებს.  
— ქუხილია?  
— არა, ტალღის მთები მღერის  
— გრივია?  
— არა, ეს ზღვა არ იძინებს,  
მწვანე ველზე  
დგას კარვები თოვლისფერი,  
ეს კარვები  
ვაჟკაცების ბინებია.  
ჩანს, აქეთკენ  
თეთრი ზვირთი ილტვის რბენით,  
ჩანს, კარვებსაც  
დამით ფხიზლად სძინებიათ.  
ჯარისკაცის გულიც ზღვა,  
ხმამქუხარი,  
ჯარისკაცის გულს  
არასდროს არა სძინავს,  
ხოლო როცა  
ცა შავ ღრუბლებს გადიფარებს  
ზღვა შფოთავს და

ჯარისკაცის გულიც გრგვინავს.  
მზე ამოღის.  
სიო ყანას უმღერს ნანას.  
თეთრი ნისლი  
მზის სხივების ცეცხლში იწვის.  
ზღვისგულემა მებრძოლები  
ზღვასთან დგანან:  
გუშაგები მშვიდობის და  
მშობელ მიწის.

ა. გეწაძე

სურათზე: ტანისტები ხავე-  
ლე მეცადინეობაზე.



ჩვენი ქვეყანაში ალბათ ბევრგან  
არ უნახავთ თბილისის არმიელ  
ფეხბურთელთა გუნდის ტექნიკურ-  
რი, ტექნიკური თამაში,  
მათი გაზარებული ტექნიკური  
კომპონენტები. მაგრამ ყველგან  
კარგად იცნობენ გუნდს, რომელიც  
წლების განმავლობაში წარმატე-  
ბით გამოდის საქავშირო პირვე-  
ლობაზე „ბ“ კლასის გუნდებს  
შორის. არმიელთა ფეხბურთელბ-  
მა საყოველთაო აღიარება მოი-  
პოვეს ფეხბურთის მოყვარულბ-  
ში და შორს გაუთქვეს სახელი  
ამიერკავსიის სახელო ოლქის  
სპორტულ კლუბს.

მაგრამ მარტო პირველი კლასის  
ფეხბურთელთა აღზრდა რაოდენ  
ამოწურება სპორტულ კლუბის  
საქმიანობა. აქ მრავალდობობ-  
ვებიან სპორტის სხვა სახეობათა  
წარმომადგენლებიც, რომელთა  
შესახებ თამამად შეიძლება წერა  
და ლაპარაკი. ისინი უბუნური  
ენერგიით იბრძვიან ჩვენი ქვეყ-  
ნის თავდაცვისუნარიანობის შემ-  
დგამი განმტკიცებისათვის, ეუფ-  
ლებიან ტექნიკისა და მეცნიერე-  
ბის უახლეს მიღწევებზე, სრულ-  
ყოფენ სპორტტექნიკურ დონეს.

მრავალ წევრს ითვისა თბილი-  
სის სამხედრო ოლქის სპორტული  
კლუბი, რომლის წევრთა შორის  
ბევრია თანრიგისანი, სპორტის ოს-  
ტატი, მაგრამ ისინი ერთბაშად კი  
არ მოხვდნენ ძირითად შემად-  
გენლობაში, არამედ სპორტული  
საქმიანობა თავიანთ ბაზებზე დაი-  
წყეს, მონაწილეობდნენ შიდასკო-  
ლექტივო შეჯიბრებებში და შემ-  
დეგ, როგორც უძლიერესებმა,  
უფლება მოიპოვეს ტექნიკა სრულ-  
ყონ სპორტულ კლუბში მადალ-  
კალიფიციური მწვრთნელების  
ხელმძღვანელობით.

თავისი სპორტული გზა არმი-  
აში დაიწყო რ. კალაჯევმა, აქვე  
ჩაღდა პირველად ჩინგის კვად-  
რატში და... ერთმანეთს ცვლიდა  
ნაწილს და ოლქის, ქალაქისა და  
რესპუბლიკის ჩემპიონობა. ასლა

## პირა მოწინავენი

იგი ნაყოფიერად მუშაობს მწვრთ-  
ნელად, მოკლე ხანში კალაჯევმა  
შექმნა საკმაოდ ძლიერი გუნ-  
დი, რომელმაც შარშან მთელი ად-  
გილი მოიპოვა კაბუთა ჯარების  
გუნდურ შეჯიბრებებზე, ხოლო  
საბჭოსკმა, ხულოიანმა და აქმე-  
რბინმა — I და II საპრიზო ადგი-  
ლები. ტყვის ხელთათმანის აქაუ-  
რი ოსტატები არა ერთხელ გამო-  
სულან წარმატებით თბილისის  
საქალაქო და რესპუბლიკურ დო-  
ნისსიძებებში, არმიელ მოყრევთა  
სიძლიერეზე ლაპარაკობს ის ფაქ-  
ტიც, რომ საქართველოს შარშან-  
დელ ჩემპიონატში 6 სპორტსმენ-  
მა მოიპოვა საპრიზო ადგილი, მათ  
შორის ხულოიანი ჩემპიონი ვახდა,  
აბაზაძე, ბიდაი და მნაცავანივი კი  
მეორე ადგილით დაქაყვიდნენ.

მტკიცე ოჯახად შეკრა და დაა-  
მეგობრა საბჭოთა ქვეყნის სხვადა-  
სხვა კუთხისა წარმომადგენლები  
არმიელთა სპორტულმა კლუბმა.  
ფრენბურთის, მოტო და ველო-  
სპორტის, ძალისხმობის, მძლეოს-  
ნობის, სროლისა და სხვა სექცი-  
ებში და ნაკრებ გუნდებში მრავ-  
ლად არიან ქართველები და რუ-  
სები, აზერბაიჯანელები და კომ-  
სები, უკრაინელები და ბელორუ-  
სები — ჩვენი თვალუწვდენი სო-  
ციალისტური საშობლომ ყველა  
ერის წარმომადგენლები, რომ-  
ლებიც ერთნაირი თავდადებით  
იბრძვიან საკუთარი კოლექტივის  
სპორტული პრესტიჟის დასაცავად.

არმიელი სპორტსმენებიდან ბევ-  
რია რესპუბლიკურ ნაკრებში, ხო-  
ლო ზოგიერთმა ჩვენი ქვეყნის  
შვიარადებულ ძალთა ნაკრებში  
მონაწილეობის უფლებაც კი მოი-  
პოვა, მათ შორის არიან ველო-  
სიბიდისტები ე. ჯიმშელიაშვილი,  
ნ. გოგოლაშვილი, ნ. გამაჯიაშვილი  
და სხვები.

სპორტული კლუბი ფიზკულ-  
ტურული მუშაობის გაშლაში სის-  
ტემატურად ეხმარება ძირე-  
ულ კოლექტივებს. კლუბის წამ-  
ყვანი წევრები ხშირად ასრუ-  
ლებენ მსაჯების როლს ამა თუ  
იმ ქვეყანაყურის სპორტკაიდე-  
ზე. ნაწილებში რეგულარულად  
ეწყობა არმიელ და რესპუბლიკის  
სხვა უძლიერეს სპორტსმენთა სა-  
ჩვენებელი გამოსვლები, მარტო

შარშან ამგვარი 28 ღონისძიება  
ჩატარა სპორტულმა კლუბმა.

წლიდან წლამდე იზრდება და  
მტკიცდება ამიერკავსიის სახე-  
ლო ოლქის ფიზკულტურელთა  
ორგანიზაცია. 1956 წელს აქ  
233 თანრიგისანი მომზადდა,  
რომელთა შორის მხოლოდ 5 ოს-  
ტატი იყო, 1957 წელს მომზად-  
ებულ იქნა 398 თანრიგისანი, მათ  
შორის 14-მა შეასრულა სპორტის  
ოსტატის ნორმატივი, ხოლო პირ-  
ველთა რიცხვისა — 22 სპორტ-  
სმენმა. იშვიათია საქალაქო თუ  
რესპუბლიკური ღონისძიება, რო-  
მელშიც ოსკ-ას სპორტსმენები აქ-  
ტიურად არ მონაწილეობენ.

მოკრევეებს, მსროლელებს, ფრე-  
ნბურთელებს, ფეხბურთელების,  
ველოსიბიდისტების, მოტოციკლის-  
ტების და სხვა სახეობათა წარმო-  
მადგენლებს არაერთხელ მთუპო-  
ვებით ჩემპიონობა და საპრიზო  
ადგილები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად  
ამიერკავსიის სახელო ოლქის  
არმიელებმა კარგა ხანია დაიწყეს  
სამზადისი საბჭოთა არმიის შექმ-  
ნის მე-40 წლისთავის აღსანიშნა-  
ვად. მოეწყო მძლეოსანთა, ძა-  
ლისხმობისა და მოჭიდევთა შეხვე-  
რები. დღეს ბაქურიანში სტარტს

აილებენ სამხედრო ოლქის უძლი-  
ერესი მოთხილამურეები, რომლებ-  
ბიც გამარჯვებისათვის იბრძო-  
ლებენ რბენაში, სლალომში,  
სწრაფდაშვებაში. მოეწყო თბ-  
ლისის გარნიზონის პირველობა  
კალათბურთში, ტყვიით სროლა-  
ში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგ-  
ბურთში. სროლაში გაიმარჯვა კ-  
გონაძემ, მაგიდის ჩოგბურთში  
პირველი იყო ა. მნაცავანივი და  
სხვ. მიმდინარეობს ამ თარიღისა-  
დმი მიძღვნილი ოფიცერთა შე-  
მადგენლობის ზამთრის სპორტკაი-  
და, რომლის პროგრამაშია სპორ-  
ტის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის რი-  
კაობაც.

ყველა ამ ღონისძიების შემდეგ  
გაიმართება 29-ე საოლქო სპარ-  
ტკაიდა, შეიქმნება ნაკრები გუნ-  
დები, რომლებიც სათანადო წერ-  
თის შემდეგ მონაწილეობას მიი-  
ღებენ საბჭოთა არმიისა და სამ-  
ხედრო-სახლგაო ფლოტის მე-40  
წლისთავისადმი მიძღვნილ არმიე-  
ლთა საქავშირო სპორტკაიდაში,  
რომელიც გაიმართება მოსკოვში.

ო. ივლიშვილი


### სიამოვნებით ვიგონებ

საქართველოს სპორტული დელი-  
გაცია გაგრამი ემზადებოდა ფი-  
კულტურელთა საქავშირო პარადი-  
სათვის. ჩვენი საქმიანობა შეწყვიტა  
საბჭოთა საშობლოზე გერმანულ  
ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ.  
თბილისში დაბრუნდი და ფი-  
კულტურის ინსტიტუტის IV კურ-  
სის სტუდენტი თორმეტ სხვა ამხა-  
ნათან ერთად მოხალისედ ჩავეწე-  
რე წითელ არმიასში. ბაქოში სამ-  
თვიანი კურსების გავლის შემდეგ  
როგორც პოლიტექლის მოადგილე  
ვრონიევის ფრონტზე ჩავები ბრძო-  
ლაში. მძიმედ დავიჭერი, მაგრამ  
ფიზიკურად ნაწრთობმა ორგანიზმა  
წარმატებით დაძლია ტყვიელები  
და ომსკის მეორე გვარდიელთა სას-  
წავებლის წარმატებით დამთავრე-  
ბის შემდეგ ოფიცრის ჩინით კვლავ  
მოწინავე ხაზე გავედი. ვიბრძოდი  
ბალტიისპირეთის ფრონტებზე. მტერს  
ტილიზტამდე მივეყვი. ვმონაწილე-  
ობდი კურლანდიის დაჯგუფების  
განადგურებაში.

დასავლეთში ომის დამთავრების  
შემდეგ რეაქტიული არტილერიის  
პოლკი, სადაც მე ვმსახურობდი, აღ-  
მოსავლეთში გაემართა იმპერილის-  
ტა მეორე დასაყრდენის — ია-  
პონიის წინააღმდეგ საბრძოლველად.  
ომის დამთავრების შემდეგ პორტ-  
არტურში წელიწადნახევარი ვიყ-  
ვი. მომეცა საშუალება გამეხსენებო-  
ნა ჩემი საყვარელი საქმიანობა —  
სპორტი. არმიასი მივიღე პირველი  
სპორტული ნათლობაც, როცა პირ-  
ველად მოვიპოვე აღმოსავლეთის არ-  
მიის ჩემპიონობა სვირტზე სტომა-  
ში. მალე უძლიერესის სახელი და-  
ვიმკვიდრე ჭოკით სტომაში, სიმაღ-  
ლეზე სტომაში, ყუმბარის ტყორც-  
ნაში, მძლეოსნურ მრავალჭიდში,  
რისთვისაც არაერთი სიგელით და  
ფასიანი საჩუქრით დამაჯილდოვა  
არმიის სარდლობამ. დემობილიზა-  
ციის შემდეგ დავბრუნდი მშობ-  
ლიურ ინსტიტუტს, დავამთავრე  
იგი და მუშაობა დავიწყე მძლეოს-  
ნობის კათედრაზე უფროს მასწავ-  
ლებლად.

სიამოვნებით ვიგონებ საბჭოთა  
არმიასი ყოფნის დღეებს, რომელ-  
მაც მიმაჩვია თვითკონტროლს, მტკი-  
ვე ღისცილინას, ნათლად დამანახ  
ფიზკულტურის დადებითი გავლენა  
ორგანიზმზე.

ა. ხუციშვილი



სურათზე: ზევით მარჯნივ — არმიელთა სპორტული კლუბის  
მწვრთნელი ი. ცეცაძე (მარცხნივ) ავარჯიშებს რესპუბლიკის ერთ-  
ერთ უძლიერეს მოკრევეს ს. აბაზაძეს. ქვევით — კლუბის ძალისხ-  
მის სექცია მეცადინეობაზე, მარცხნივ მწვრთნელი გ. კოშაძე.  
ფოტო მ. ზარგარიანისა.



დასასრულს უახლოვდება ინგლისის თასის გათამაშება ფეხბურთში. ამ საპატიო ტროფეისათვის ობრძვიან „ველვერპეპტონი“, „ბოლტონი“, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“, რომელმაც განმეორებით შეხვედრაში ანგარიშით 4:1 დაამარცხა „შეფილდ იუნაიტედი“. ალბიონელები უნდა შეხვედროდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ს გამარჯვებულს.

### ფეხბურთი

#### საიუბილეო ჩემპიონატის წინ

წვრთნის შემდეგ ვატარებთ გარჩევას. დინამოელები ღებულნი იყვნენ 13 მარტამდე. ამ დროის მანძილზე მოეწყობა ამხანაგური შეხვედრები „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებთან. სურათზე: გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. სოკოლოვი ავარჯიშებს მეკარე ა. კვაჭაძეს. ფოტო და ტექსტი ვ. ანთაისი.

ინგლისის დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულებში დიდი ინტერესი გამოიწვია ამ მატჩმა. როგორც ცნობილია ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ პირველად გაიღწია საფეხბურთო მინდორზე მიუნხენის კატატროფის შემდეგ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ნება დასთმო მას შეესყიდა რამდენიმე მთლიან მასვე კლუბებიდან. „ბლექბურნი“ აქ გადმოვიდა 32 წლის ტრენინგის შემდეგ, რომელიც წინა ინგლისის ნაკრებში თამაშობდა. ღებულ დღეებში ნაცვლად, რომელიც შეუძენდა ჰოსპიტალში მოთავსებული, ითამაშებს რეგ პირის „ლუდოვიკი“. მატჩის დაწყებამდე წუთით ადრე ხელმოწერილ კონტრაქტს „ასტონ ვილას“ ფეხბურთელ სტენ გროუტერთან. ამ მატჩზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოიყვანა ახალი კაპიტანი მცველი ბილ ფოლკსმა. შეხვედრა ინგლისის ჩემპიონის უბრატესობით ჩატარდა და დასაწყისშივე გამოარჯვებულ ანგარიშით 3:0.

#### გაზი ქაზაქის ბანკის შესახებ

როგორც გერმანული სპორტულ გაზეთი „ლინგს შპორტ ეხი“ იწყობა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ავსტრალიელ სპორტულ ქალს ბეტი კატბერტს განზრახულა აქვს თავი დაანებოს სპორტს. გაზეთი ცნობით ბეტი კატბერტი თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანა 1960 წელს, რადგან მას სურს კიდევ ერთხელ მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.

#### 158 მილიონი მაყუარული

გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატებში კალათბურთის შეჯიბრების დედაქალაქ 158 მილიონი მაყურებელი. მარტო სტუდენტთა გუნდებს გამოსვლები კალათბურთის 100 მილიონამდე მაყურებელს ნახა. მაგრამ ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო ზანგების პროფესიონალური გუნდის „პარკმენ გლახტრეტის“ მატჩებს. მისი თამაში 2 მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

#### მეექვსე ზონა


ოსკა (ხაბაროვსკი), ოსკა (ჩიტა), „დინამო“ (ვლადივოსტოკი), „ენერჯია“ (ირკუტსკი), „შახტორი“ (კემეროვო), „ურალი“ (ბარნაული), „მეტალურგი“ (სტალინსკი), „ტომრი“ (ტომსკი), „ირტიში“ (ომსკი), „სიბელმაში“ (ნოვოსიბირსკი), „ლოკომოტივი“ (კომსომოლსკი), „ლოკომოტივი“ (კრასნოარსკი), „ლოკომოტივი“ (ულან-უდე), „ლოკომოტივი“ (სემობოდნი). გათამაშება „ბ“ კლასში დაიწყება 12 აპრილს.

#### მეექვსე ზონა

ოსკა (ხაბაროვსკი), ოსკა (ჩიტა), „დინამო“ (ვლადივოსტოკი), „ენერჯია“ (ირკუტსკი), „შახტორი“ (კემეროვო), „ურალი“ (ბარნაული), „მეტალურგი“ (სტალინსკი), „ტომრი“ (ტომსკი), „ირტიში“ (ომსკი), „სიბელმაში“ (ნოვოსიბირსკი), „ლოკომოტივი“ (კომსომოლსკი), „ლოკომოტივი“ (კრასნოარსკი), „ლოკომოტივი“ (ულან-უდე), „ლოკომოტივი“ (სემობოდნი). გათამაშება „ბ“ კლასში დაიწყება 12 აპრილს.

#### მეექვსე ზონა

ოსკა (ხაბაროვსკი), ოსკა (ჩიტა), „დინამო“ (ვლადივოსტოკი), „ენერჯია“ (ირკუტსკი), „შახტორი“ (კემეროვო), „ურალი“ (ბარნაული), „მეტალურგი“ (სტალინსკი), „ტომრი“ (ტომსკი), „ირტიში“ (ომსკი), „სიბელმაში“ (ნოვოსიბირსკი), „ლოკომოტივი“ (კომსომოლსკი), „ლოკომოტივი“ (კრასნოარსკი), „ლოკომოტივი“ (ულან-უდე), „ლოკომოტივი“ (სემობოდნი). გათამაშება „ბ“ კლასში დაიწყება 12 აპრილს.



### დიდი ინტერესი და... დაბალი შედეგები

რესპუბლიკის უძლიერეს მოცულობა ზამთრის პირველობა, რომელმაც სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, სამწუხაროდ დაბალი შედეგებით დაიწყო. ჯერ იყო და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოცულად ვემ ბ. ნიკიტინმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით მხოლოდ 59,9 წამში გატურა მაშინ, როდესაც უკანასკნელ თვეებში მას სპორტის ოატატის ნორმატივზე ნაკლები დრო არ უჩვენებია. იმედია ნიკიტერ მოცურავეს კვლავ თავის უფლებებში ვახილავთ ფინალურ ბრძოლებში, სადაც მასთან ერთად მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისელმა რ. კვაჭაძემ და ბათუმელმა ლ. ლაზარდამ და ი. ბინიუკოვმა.

ქალთა შორის ფინალისტთა ოთხეულში მოხვდა სამი თბილისელი: რ. არკადიევა, ლ. სმირნოვა და ა. მორგუნენკო და სოხუმელი ლ. ოქრუაშვილი.

შეჯიბრების პირველ დღეს დამთავრდა შეჯიბრება ბრასის სტილით ცურვაში. ქალთა შორის პირველ ადგილზე გაივიდა ლ. კრილოვა, რომელმაც თავიდან აღებულ ტემპში უცვლელად შეინარჩუნა. მეორე და მესამე ადგილისათვის ბრძოლის ბედი მხოლოდ წამის მეათედებმა გადაწყვიტეს. ამ ადგილის სამმა პრეტენდენტმა: ლ. რეტნიკიამ, დ. კანანევიმ და ი. კილიცკიამ შესაბამისად აჩვენეს 1.35,4, 1.35,8, 1.36,3.

თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში ვეთა შორის ბ. ნიკიტინი არ მონაწილეობდა. დისტანციის ნახევარი მხარდამარცხა ვაიარეს ბათუმელმა ი. ბინიუკოვმა და თბილისელმა ბ. ჩუბინიძემ და სპორტის ოსტატმა რ. მემჩეროვმა. შემდეგ დაწინაურდნენ მემჩეროვი და ჩუბინიძე, რომელთაგან ფინალზე შესამჩნევ ბიჭვით წინ გაიჭრა მემჩეროვი. მან მხოლოდ 0,2 წამით მისაწრო თავის მეტოქეს და აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 2.17,8.

პირველი დღის ფინალური შედეგებიდან აღსანიშნავია ბატერფლაით 50 მეტრზე შეჯიბრება. ორი თბილისელი — ა. ნარბინიძე, გ. შამკულაშვილი და სოხუმელი ლ. ოქრუაშვილი მონაწილეს ერთდროულად მიადგნენ, მაგრამ მობრუნების ტექნიკა გაცილებით უკეთ დაამუშავებული აღმოჩნდა ლ. ოქრუაშვილს, რომელმაც საგრძობლად ჩამოაბრუნა ა. ნარბინიძე და ფინალის კედელს პირველმა შეახო ხელი. მისი დროა 41,4. მეორე ადგილი წილად ხვდა ა. ნარბინიძეს. მესამე ადგილზე გამოვიდა გ. შამკულაშვილი.

შეჯიბრება გრძელდება. ა. ბარნოვი.

როგორც ცნობილია 23 მარტს იწყება სსრ კავშირის XX ჩემპიონატი ფეხბურთში. ოსტატთა გუნდები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი გათამაშებისათვის. ემზადებიან თბილისის დინამოელებიც, რომლებიც საწვრთნელ შეკრებებზე იმყოფებიან დაბალი უფლებებით. როგორც ყოველთვის, საწვრთნელ პროგრამაშია საერთო ფიზიკური მომზადება, ტექნიკური ელემენტების ათვისება, თეორიული მეცადინეობა. ძველ მოთამაშეებთან ერთად აქ ვარჯიშობენ გუნდის ახალი წევრები ა. ნორაიძე, ბ. სუკინაძე, თ. მელაშვილი, დ. ხუნდაძე, ა. კვაჭაძე, ვ. მიკულიძე, ე. დალაქიანი და სხვანი. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. სოკოლოვმა განაცხადა: — ჩვენ სერიოზულად ვემზადებით სეზონის განსისათვის. ფეხბურთელთა სამეცადინო დღე იწყება დაპურვით, რომელსაც ვატარებთ ზღვის პირას. შემდეგ წარმოვს სპეციალური წვრთნა ბურთით, თეორიული მეცადინეობანი. ყოველი

### წინ ითაბაშავს საკავშირო პირველობაზე

- 1. „დინამო“ (მოსკოვი)
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი)
4. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
5. ცსკ შო
6. „დინამო“ (კიევი)
7. „დინამო“ (თბილისი)
8. „შახტორი“ (სტალინი)
9. „მოლდავა“ (კიშინიოვი)
10. „ზენიტი“ (ლენინგრადი)
11. „კრილია სოვეტოვი“ (სუბიშვი)
12. „დამირალტევი“ (ლენინგრადი)

- „სპარტაკი“ (მინსკი), „ბალტიკა“ (კალინინგრადი), „დაუგავა“ (რიგა), „სპარტაკი“ (ვილნიუსი), „დინამო“ (ტალინი), „ურალი“ (მინსკი), ოსკა (ლეოვი), ოსკა (კიევი), „ლოკომოტივი“ (ვინცა), „კოლგოსნიკი“ (როვნო), „სპარტაკი“ (უფგოროდი), „სპარტაკი“ (სტანისლავი), „ჩერნომორცი“ (ოდესა), ლტი (ლენინგრადი), „ეოლგა“ (კალინინი), „ტრუდა“ (სტუპინო).

- ოსკა (თბილისი), „სპარტაკი“ (ერევანი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ლოკომოტივი“ (ქუთაისი), „თერგი“ (გროზნი), „სპარტაკი“ (სტავროპოლი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „მორაკი“ (ლენინაჯანი), „შახტორი“ (კადაევკა), „ტრუდი“ (ახტარხანი), „ტემპი“ (მხანა).

### კოსგოვი: შედეგით კმაყოფილი ვარ!

#### საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მოქიდავეთა ნაკრები გუნდი ამ ახლო ხანში უნდა გამგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე შეხვედრას ჩასატარებლად. ამიტომ შეკრების მწვრთნელთა საბჭომ ძალთა გამოცდის მიზნით გადაწყვიტა რამდენიმე წინასწარი შეჯიბრების ჩატარება. 20 თებერვალს მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სახანლეში შედგა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები

გუნდების კმახანგური საერთაშორისო მატჩი თავისუფალ კიდაობაში. როგორც წესი, პირველად სარბილზე გამოვიდნენ უმატესი წონის მოქიდავეები მ. ცაქალაშინიძე და ბულგარელი ზალევი. მირიანმა არ დააყოვნა, პირველ წამებიდანვე შეტევაზე გადავიდა და უკვე 3 წუთსა და 35 წამში მოწინააღმდეგე ხალიჩას გააკრა. შემდეგ არსენიანმა ქულებით დაამარცხა ვილნივი, მუშელანმა — კოლევო. საბჭოთა მოქიდავე ბესტაევმა ვერ გააძარცვა თავისი გულმეზობლების იმედი. იგი პასიურად იბრძოდა, დაჰკარგა შეტად საჭირო ქულები და დამარცხდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ვ. ბალავაძის მაგივრად, რომელიც

ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, სარბილზე გამოვიდა ბაქოელი დადაშევი. მისი მოწინააღმდეგე მურთაზოვი მაღალი კლასის მოქიდავეა. მან ბრძოლა სწორად ააგო. დადაშევის იერიშები ტექნიკურად სრულყოფილი ილეთებით მოიგერია და მოგოვი კიდეც. საშუალო წონაში გ. სხირტლამე შეხვდა ბულგარელ პესლეფანოვს. მსაჯთა გადაწყვეტილებით ეს შეხვედრა ფრედ აღინიშნა. შემდეგ აღბულმა (სსრკ) უკანასკნელ წამებში დაამარცხა ბი. ბალოვი და სარბილზე გამოვიდნენ მძიმე წონის ფალანგები ოთარ კანდელაი და აშმელოვი. ეს ბრძოლა ასე წარიმართა: კანდელაის უყურადღებობის გამო ბულგარე-

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელვაქაძის დადმართი № 12. დეპუტებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქციის — 8.89.42, 3.მკ. მიღებისა და განყოფილებების — 8.90.34, მორგებისა და გამოშვების — 8.01.06.